ევროკავშირი
საქართველოსთვის

ევროკავშირი

COUNCIL OF EUROPE
CONSEIL DE L'EUROPE

თანადაფინანსებულია
და ხორციელდება
ევროპის საბჭოს მიერ

პარტნიორობა კარგი მმართველობისთვის

რეგიონული პროექტი: თანასწორობის და დისკრიმინაციასთან ბრძოლის ხელშეწყობა: მეტად მდგრადი და ინკლუზიური საზოგადოებისკენ სვლა

პროექტი მიზნად ისახავს რეგიონულ დონეზე გაწეული სამუშაოს გაღრმავებას სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის შესახებ მონაცემთა შეგროვების კუთხით, ასევე როგორც თანასწორობის ორგანოებისა და სამართალდამცავი უწყებების რეაგირების გაუმჯობესებას სიძულვილის და რასიზმის შემთხვევებზე. პროექტი აგრეთვე გეგმავს სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებთან და ევროკავშირის დაფინანსებული პროგრამით შერჩეულ ახალგაზრდა ევროპელ ელჩებთან თანამშრომლობას, მათთვის ცოდნისა და ინსტრუმენტების გაზიარების გზით, სიძულვილის და რასიზმის აღმოფხვრას და საზოგადოებაში თანასწორობისა და მრავალფეროვნების ხელშეწყობას.

პროექტი ხორციელდება ევროკავშირისა და ევროპის საბჭოს ერთობლივი პროგრამის - პარტნიორობა კარგი მმართველობისათვის - მესამე ფაზის ფარგლებში. იგი დაეყრდნობა აღნიშნული პროგრამის პირველი და მეორე ფაზების შედეგებს თანასწორობის და ანტიდისკრიმინაციის ხელშეწყობის სფეროში (I ფაზა: 2015-2018; II ფაზა 2019-2023).

პროექტის მიზნებია:

- ევროპული სტანდარტებისა და საუკეთესო პრაქტიკის გათვალისწინებით, აღმოსავლეთ პარტნიორობის (EaP) რეგიონში დისკრიმინაციის, სიძულვილის, რასიზმის და შეუწყნარებლობის წინააღმდეგ ბრძოლის მიმართულებით არსებული მექანიზმების ფუნქციონირების გაუმჯობესება.

ვინ ისარგებლებს პროექტით?

- სახელმწიფო ორგანოები, შინაგან საქმეთა სამინისტრო და სამართალდამცავი უწყებები;
- თანასწორობის ორგანოები და/ან სახალხო დამცველის აპარატი;
- სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები, რომლებიც მუშაობენ/წარმოადგენენ მოწყვლად თემებზე და ახალგაზრდული ასოციაციები;
- მოსახლეობა, განსაკუთრებით, დისკრიმინაციის, სიძულვილით მოტივირებული დანაშაულისა და სიძულვილის ენის მსხვერპლი ადამიანები, რომლებიც შეძლებენ უკეთ დაიცვან თავიანთი უფლებები, არასამართლებრივი დაცვის მექანიზმების გამოყენებით.

მეთოდოლოგია

- ეროვნულ პარტნიორებთან მჭიდრო თანამშრომლობა.
- შესაძლებლობათა გაუმჯობესების მიზნით აქტივობების ორგანიზება, ასევე, თანასწორობის ორგანოებსა და სამართალდამცავ უწყებებს შორის ინფორმაციისა და გამოცდილების გაზიარება.

მოსალოდნელი შედეგები

- დისკრიმინაციის, სიძულვილის, რასიზმისა და შეუწყნარებლობის შესახებ ინსტიტუციების და მოსახლეობის ინფორმირებულობის/ცნობიერების გაზრდა და ამ საკითხების გადასაჭრელად ინსტიტუციური მიდგომის ჰარმონიზება.
- ევროკავშირის ანტირასისტული სამოქმედო გეგმისა და ECRI-ის

- რეგიონში სიძულვილის, რასიზმისა და შეუწყნარებლობის შესახებ ცნობიერების ამაღლების მიზნით არასახელმწიფო ინსტიტუტებთან დიალოგი.
- რეგიონულ და ცალკეულ ქვეყნებზე მორგებულ აქტივობებს შორის მკაფიო კავშირის უზრუნველყოფა, ადგილობრივ დონეზე არსებული პროექტების შევსების და რეგიონში არსებულ უახლეს პოლიტიკური და სხვა მიმდინარე მოვლენების გათვალიწინების გზით.
- PGG-ის წინა ფაზების ფარგლებში, დისრკიმინაციასთან ბრძოლის სფეროში მიღწეული თანამშრომლობის შედეგების გათვალისწინება.

პროექტის ბიუჯეტი

- პროექტის სრული ბიუჯეტია 500 000 ევრო.
- მთლიანი პროგრამის საერთო ბიუჯეტია 19.3 მლნ ევრო (80% დაფინანსებულია ევროკავშირის და 20% ევროპის საბჭოს მიერ).

როგორ მივიღოთ მეტი ინფორმაცია?

- პარტნიორობა კარგი მმართველობისთვის
  ვებგვერდი: http://partnership-governance-eu.coe.int/
  ელფოსტა: dpc_pgg@coe.int
- ევროპის საბჭოს ოფისი საქართველოში
  ვებგვერდი: https://www.coe.int/tbilisi;
  ელფოსტა: informtbilisi@coe.int

სტანდარტების/რეკომენდაციების გათვალისწინებით, რასიზმის და შეუწყნარებლობის შემთხვევებზე პოლიტიკის შემქმნელების რეაგირების გაუმჯობესება.
- თანასწორობის ორგანოებისა და პოლიციის ადმინისტრაციის მიერ თავიანთი შესაძლებლობების და უნარების გაძლიერება, ევროპული სტანდარტების შესაბამისად, მრავალფეროვან საზოგადოებაში უკეთ მუშაობისა და რასიზმსა და შეუწყნარებლობაზე რეაგირების უზრუნველსაყოფად.
- არასახელმწიფო დაინტერესებული მხარეების, როგორიცაა ახალგაზრდობა და სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები, ცნობიერების ამაღლება თანასწორობის და იმ საფრთხეების შესახებ, რომელსაც სიძულვილი უქმნის საზოგადოებას.

პროექტის ხანგრძლივობა

- პროექტი მიმდინარეობს 2023 წლის 1 მარტიდან 2026 წლის 28 თებერვლამდე.

„პარტნიორობა კარგი მმართველობისთვის“(PGG) არის ევროკავშირისა და ევროპის საბჭოს ერთობლივი ინიციატივა აღმოსავლეთ პარტნიორობის რეგიონში კარგი მმართველობის გასაძლიერებლად.

PGG უზრუნველყოფს აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნების მხარდაჭერას მათი კანონმდებლობისა და პრაქტიკის ადამიანის უფლებების, კანონის უზენაესობისა და დემოკრატიის სფეროებში ევროპულ სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით. კერძოდ, ის მხარს უჭერს აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნების საშინაო რეფორმებს მართლმსაჯულების გაძლიერების, ეკონომიკური დანაშაულისადმი წინააღმდეგობის, თანასწორობისა და დისკრიმინაციის წინააღმდეგ ბრძოლის ხელშეწყობის, ქალების მიერ მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობის გაზრდისა და ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის მიზნით. PGG მხარს უჭერს საქართველოს ევროპული პერსპექტივის დღის წესრიგში, ევროპის საბჭოს სტანდარტების შესაბამისად.